ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29250644**
თარიღი:**05/03/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მაცხოვრებლებმა, (N 19/29250271-29, 27.01.2025 წ.), რომლებიც ითხოვენ საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სოფელ კვხჭირის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხი განსახილველად დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას, სადაც საკითხის განხილვის პროცესში გაიმართა კონსულტაციები სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მცხოვრებ მოქალაქეებთან.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ დადგინდა, რომ სოფელ კვახჭირში, 1980 წლის 2 თებერვალს დაბადებული სერჟანტი გივი სახელაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა 2008 წელს საქართველოში, რუსეთსა და საქართველოს შორის გამართულ საომარ მოქმედებებში და მისი დაღუპვიდან გასულია 17 წელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადასტურებს, რომ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, სერჟანტი გივი სახელაშვილი არის საზოგადო მოღვაწე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს წინაშე სამშობლოს დაცვის საქმეში და მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩას მიენიჭოს გივი სახელაშვილის სახელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების“ შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მაცხოვრებლების 2025 წლის 27 იანვრის N19/29250271-29 განცხადების, სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი 2025 წლის 10 თებერვლის სხდომის ოქმის, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2025 წლის 04 მარტის დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის, (მეორე ჩიხი, პირველი შესახვევი) საზოგადო მოღვაწის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭება - მოცემული ცხრილით განსაზღვრული და ქუჩის გავრცელების X და Y კოორდინატების შესაბამისად:

x	y	x	y
311998	312103	312284	312644
4677048	4676364	4676285	4676174

მუხლი 2. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი